ხელშეკრულება # 01/04 №29

ინტერნეტ სერვისით მომსახურების შესახებ

ქ.სამტრედია 23.04.2012 წ.

შპს ვი–ჯი–ეს ნეთვორქი შექმნილი და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მოქმედი შემდეგ მისამართზე: საქართველო, ჯავახიშვილის, ქ #8 . სამტრედია, 3906 მისი დირექტორის ვახტანგ ჩიგოგიძეს სახით, ორგანიზაცია მოქმედებს წესდების საფუძველზე, ერთის მხრივ და

ბაღდათის ა.ა.ი.პ სკოლამდელი სააღმრზდელო დაწესებულება შექმნილი და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მოქმედი შემდეგ იურიდიულ მისამართზე: საქართველო, ბაღთათის რაიონში/ჯახიანის ქ. №
დირექტორის , სახით, მოქმედებს წესდების საფუძველზე (შემდეგში მოხსენიებული, როგორც "დამკვეთი"), მეორეს მხრივ, ერთად კი მხარეები

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულება არეგულირებს მხარეებს შორის ქვემოთმოცემული სერვისის მოხმარება-მიწოდებას.
1.2 კომპანია უზრუნველყოფს დამკვეთს ინტერნეტ სერვისით.
1.3 კომპანია უზრუნველყოფს ინტერნეტ სერვისის ინსტალაციას.

2. სერვისი

2.1 კომპანია დამკვეთს ინეტერნეტ სერვისით უზრუნველყოფს კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში.
2.2 კომპანია დამკვეთს უზრუნველყოფს შემდეგი ინტერნეტ სიჩქარით:

გლობალური	ლოკალური
128 Kbps – 256 Kbps	0.5Mbps

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 კომპანიის მოვალეობები:
3.1.1 უზრუნველყოს დამკვეთი ოცდაოთხი საათის განმავლობაში ინტერნეტ სერვისით.
3.1.2 დამკვეთის სწრაფი ინფორმირება (ტელეფონით ან ფაქსით 24 სთ–ის განმავლობაში) ნებისმიერი სახის გამორთვებისას, გაუმართავობისას დაკავშირებული ინტერნეტ სერვისთან. მიიღოს შესაბამისი ზომები აღნიშნული სერვისის გამართული მიწოდებისათვის.
3.1.3 დამკვეთის ინფორმირება ორი დღით ადრე აუცილებელი პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების შესახებ ინტერნეტ კავშირისათვის.
3.2 დამკვეთის მოვალეობები
3.2.1 დამკვეთი ექსპლუატაციას გაუწევს ინტერნეტ კავშირს შესაბამისად მიზნისა, რომელიც მოცემულია ხელშეკრულებაში;
3.2.2 დამკვეთი უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3.2.3 დროულად უზრუნველყოს საზღაურის ანგარიშსწორება.
დამკვეთის უფლებები
3.2.4 მოელოდეს შემსრულებლისაგან მაღალხარისხიანი და უწყვეტი ინტერნეტ კავშირის უზრუნველყოფას.
3.2.5 მოითხოვოს ინფორმაცია ნებისმიერი სახის ინტერნეტის გათიშვებისა და გამოუსწორებლობის შესახებ და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია კომპანიისაგან.

4. საზღაური და ანგარიშსწორების პირობები

4.1 ხელშეკრულების 1.2 და 2.2 მუხლში მოცემული ინტერნეტ სერვისისათვის დამკვეთს კომპანია ყოველთვიურად გადაუხდის 50.00 ლარს.

4.2 ანგარიშსწორება მხარეებს შორის წარმოებს წინასწარ საანგარიშწორებო თვის 5 რიცხვამდე.

4.3 ყოველი თვის დასრულებისას კომპანია დამკვეთს წარუდგენს დამატებითი ღირებულების *საგადასახადო* ანგარიშ ფაქტურას.

5.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 3 (სამი) თვის ვადით.

5.2 იმ შემთხვევაში, თუ ერთი თვით ადრე რომელიმე მხარე არ შეატყობინებს მეორეს, ხელშეკრულების ვადის შეწყვეტის შესახებ, მაშინ ხელშეკრულება გაგრძელდება იგივე ვადითა და პირობებით.

5.3 ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მხარეებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს წერილობით ერთი საანგარიშსწორებო თვით ადრე.

6.ფორს მაჟორული გარემოება

6.1 ხელშეკრულებაში განხილული შემთხვევების გარდა, არც ერთი მხარე არ იქნება პასუხისმგებელი შესრულების დაყოვნებაში, პირდაპირი ან ირიბი დაუძლეველი ძალის მიზეზის არსებობისას. დაუძლეველი ძალის მიზეზს წარმოადგენს ნებისმიერი სამოქალაქო არეულობა, ქარიშხალი, ომი, ხანძარი, გაფიცვები, სოციალურად საშიში ელემენტების მოქმედება, აჯანყება. გაფიცვები მომუშავე პერსონალს შორის, რომელიც მოიცავს "შემსრულებლის" პერსონალს; არ ჩაითვლება დაუძლეველი ძალის მიზეზად.

6.2 დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოქმნილი შემთხვევის შესახებ, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს შემთხვევის შესახებ და მიიღოს ყველა შესაძლო ძალისხმევა დაუძლეველი ძალის მიერ წარმოქმნილი ცვლილებების აღმოფხვრის ან შემსუბუქებისათვის.

7.დავის გადაწყვეტა

7.1 მხარეები ხელშეკრულების შესრულებისას წარმოშობილ ნებისმიერ სადაო საკითხს გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7.1 ურთიერთშეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

8.კონფიდენციალური ინფორმაცია

8.1 ყველა ინფორმაცია, მიღებული შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და დამკვეთისათვის მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებით ითვლება კონფიდენციალურად და არ გამოიყენება შემსრულებლის მიერ სხვა მიზნებისათვის, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისა და არ გადაეცემა მესამე პირს.

8.2 დამკვეთს არ აქვს უფლება ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება - მოვალეობები გადასცეს მესამე პირს.

9.დამატებითი პირობები

9.1 ნებისმიერი ცვლილება ან დანართი, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს, შეიძლება დამატებული იქნას ხელშეკრულებისათვის ნებისმიერ დროს ურთიერთ წერილობითი თანხმობით. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის სახით, ხელმოწერილი მხარეების მიერ და ეს დოკუმენტი ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად, რომელსაც ექნება ხელშეკრულების ტოლფასი ძალა.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ იურიდიულად თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან მხარეებს გადაეცემათ თითო-თითო.

10.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შპს ვი–ჯი–ეს ნეთვორქი	იურიდ. მის: ქ.თბილისი
ჯავახიშვილის ქუჩა #8, ქ. სამტრედია, 3906, საქართველო	საიდენტიფიკაციო კოდი 225066930
ტელ/Tel.+ 995 91 191 407	
სს "საქართველოს ბანკი" ა/ა GE28BG0000000343778200, კოდი **214007085** საიდენტიფიკაციო კოდი: **438724490**	ხელმოწერა, ბეჭედი დირექტორი
ხელმოწერა, ბეჭედი	
ვახტანგ ჩიგოგიძე	

ანგარიში/INVOICE

მიმწოდებლის რეკვიზიტები:

შ.პ.ს ვი–გი–ეს ნეთვორკი

სს "საქართველოს ბანკი", კოდი: 214007085; ა/ა GE28BG0000000343778200

საიდენტიფიკაციო კოდი: 438724490

თარიღი: 17.04.2012

მიმღების რეკვიზიტები:

სახელი:

[redacted]	[redacted]	[redacted]	[redacted]
ინტერნეტ სერვისი			40,00
ინსტალაცია			160,00
		ჯამი	200,00
[redacted]		[redacted]	[redacted]

[redacted]

ვახტანგ ჩიგოგიძე

ი-მ